როდისაა გადაწერილი ადიშის სახარება?

კ. კეკელიძისა.

ადიშის სახარებამ, რომელიც ამდენან ქართული ოთხთავის უძველეს ძეგლად ითვლებოდა და რომელიც ამიტომ ფოტოტიპიურად გამოსცა მოსკოვის არქეოლოგიურმა საზოგადოებამ[1], განსაკუთრებული მნიშვნელობა მიიღო ეხლა, როდესაც აღმოჩნდა თავდაპირველი, V—VI საუკუნის, ტექსტი ბიბლიისა, კერძოდ სახარებისა.

უაღრესად საინტერესოა, პირდაპირ სენსაციურია ეს ახალი აღმოჩენა. მაგრამ არა ნაკლებ საინტერესო და საყურადღებოა გათვალისწინება ამ ტექსტის ევოლუციისა, აღნიშვნა იმ ეტაპებისა, რომელიც განვლო მან, რედაქციულად თუ სტილისტიკურად, თავისი განვითარების პროცესში. ამ ეტაპების გარკვევისას ადიშის სახარებას პირველხარისხოვანი მნიშვნელობა ენიჭება: და სწორედ ეს გარემოება უფრო გვაიძულებს ჩვენ საბოლოოდ გამოვარკვიოთ წელიწადი მისი გადაწერისა.

თითქოს ამ მხრივ სარკვევი და საძიებელი არა უნდა იყოს რა, ვინაიდან აღნიშნულ ძეგლს ერთის მაგიერ სამი თარიღი აქვს: ის გადაწერილია, როგორც მისი მწერალი მიქაელი ამბობს, დასაბამითგანთა წელთა ხფა, ქორონიკონსა რიზ, შობითგან უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესითი წელთა ჩა. პირველი ორი თარიღი იძლევა ერთსა და იმავე წელიწადს; მართლაც, დასაბამითგან ხფა უდრის 897 წელს (6501—5604), მასვე უდრის ქორონიკონი რიზ (780+117=897). მაგრამ ამას ეწინააღმდეგება თარიღი მაცხოვრის შობითგან,—ჩა, რომელიც 1001 წელს იძლევა.

[1] *Матеріалы по Археологіи Кавказа*, вып. XIV, Москва 1916 г.

ამით აიხსნება, რომ, როდესაც ზოგიერთნი მკვლევარნი, როგორც ვეს. ნიკარაძე[1], ალ. ხახანაშვილი[2] და ეკ. თაყაიშვილი[3], პირველს ორ თარიღს ეყრდნობიან და სახარების გადაწერის დროდ 897 წელსა სთვლიან, პროფ. ნ. მარრი ბესამე თარიღს იღებს და ეს უძნიშვნელოვანესი ძეგლი გადააქვს მეთერთმეტე საუკუნეში, რასაც ის ძეგლის ლექსიკურ-სტილისტიკური ფაქტებითაც ამართლებს თითქოს[4].

რაშია საქმე, ნუ თუ მართლა არასგზით არ შეიძლება ამ თარიღთა შეთანხმება, როგორც ამას კატეგორიულად აცხადებს ე. თაყაიშვილი[5]? არა, მიგვმარეობა არც ისე უნუგეშოა: მესამე თარიღიც იმავე 897 წელს გვაძლევს, რასაც პირველი ორი; ესეი თითქოსდა წინააღმდეგობა აიხსნება ქართული წელთაღრიცხვის თავისებურობით და მისი დამოკიდებულებით სხვა ერთა წელთაღრიცხვასთან.

ქართველები ქვეყნის გაჩენიდან ქრისტეს დაბადებამდე სთვლიდენ, განსაკუთრებით მეთერთმეტე საუკუნემდე (სპორადიულად შემდეგაც). 5604 წელს; საქრისტიანოს სხვა ადგილებში კი მიღებული იყო ოთხი ერა: ბიზანტიური (κατὰ Ῥωμαίους) 5508 წლიანი, ალექსანდრიული (κατ' Ἀλεξανδρεῖς) 5500 წლიანი და პანოდორული (κατὰ Πανόδωρον) 5492 წლიანი. როგორც ვხედავთ, ქართული სისტემა განირჩევა სამივესაგან: ის, ამათთან შედარებით, წინ ითვლის 96, 104 და 112 წელს. ამ განსხვავებისათვის ყურადღება მიუქცევია ჯერ კიდევ მეათე საუკუნეში სინას მთის ქართველ მოღვაწეს იოანე-ზოსიმეს: ადარებს რა ერთიმეორეს ქართულსა და პანოდორეს ერას, რომელსაც ის ხან იერუსალიმელთა, ხან ბერძნულ სახეს და სათვალავს ეძახის. შენიშნავს: ესდა ეოოოოოოოთა წელიოა წისადი ითუალვენ ქართველნი ქორონიკონისა თავისა დაწყებასა �isagan შოდეუნეოოთ-ო[6]. უეჭველია,

[1]) ეურნალი Знаменіе 1904 წ. № 8.

[2]) *Матеріалы по Археологіи Кавказа*, вып. X, приложе., стр. 1—9.

[3]) *Матеріалы по Археологіи Кавказа*, вып. XIV, стр. 13—14.

[4]) Замѣтки по текстамъ св. Писанія въ древнихъ переводахъ армянъ и грузинъ: Христіанскій Востокъ, т. II, вып. 1, стр. 26; вып. 2, стр. 172—174.

[5]) *Матеріалы по Археологіи Кавказа*, вып. XIV, стр. 14.

[6]) იხ. ამონაწერი ქვემოთ.

ამკვარსავე მოცთუნებად სოვლიდა ის დანარჩენი ორი წელთააღ-ოიცხვის განსხვავებასაც, და არა მარტო ის, არამედ, ალბად, სხვებიც; ყოველ შემთხვევაში, მეცამეტე საუკუნეში აბუსერიძე ტბელი, ჰკითხულობს რა: რაჲსა მიზეზისათჳს უმეტესთა წელთა თუალჳენ სოფლისა დასაბამითგანთა ქართველნი?—თვითვე იძლევა ასეთს პასუხს: იგი სისუ-ტელისა ჩუენისათჳს გასაგონებელად საჴმირო უჩნდა წმიდათა მამათასა, და მას მხოლოდ სავე კაცთმოუყვარისა ცოდნასა ოდენ მიჰჩემეს და არდარა მათსა შეცნაურებასა-ო[1].

ბიზანტიური 5508 წლიანი სისტემის ხმარება ჩვენში ჩვეულებრივია, განსაკუთრებით მეთერთმეტე საუკუნიდან[2], ამიტომ იმაზე ადარ შეეჩერდებით; მასთან შედარებით უფრო იშვიათია პანოდორეს და ალექსანდრიულ სისტემათა ხმარება. პანოდორეს სისტემას ჩვენ ვხვდებით დასახელებული იოანე-ზოსიმეს ორს თხზულებაში შემ-დეგი სახით:

და არიან წელნი ადამისითგან ვიდრე ამაღლებადმდე უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესსა **ჶფლდ** და შემდგომად მისა ვიდრე დღენდელად დღედმდე, ვითარ აგი იერუსალჵმელნი ითუალჳენ სათუალჳითა მზისაჲთა, **შლზ**, და ვითარ ქართველნი ითუალჳენ **ჩმთ**. და შეკრებით, ვითარ ქართველნი ითუალ-ჳენ, **ხფპგ**, და ქორონიკონი იეო **რუთ**:. ხოლო იერუსალჵმელნი ესრე ითუალ-ჳენ შეკრებით წელთა ვიდრე აქამომდე	დასაბამითგანნი წელნი...ჯუარცუმამდე უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესსა... **ჶფლდ**; შემდგომად ჯუარცუმისა ვიდრე აქამომდე. . ვითარ იგი იერუსალჵმელნი ითუალჳენ სათუალჳითა მზისაჲთა **შზ**, და ვითარ ქართველნი ითუალჳენ **ჩით**. და შეკრებით, ვითარ ქართველნი ითუ-ალჳენ, **ხფნგ**, ხოლო იერუსალჵმელ-ნი ესრე ითუალჳენ შეკრებით წელთა, ვიდრე აქამომდე, **ხუმა**. ოდეს ესე აწერ-ა ქორონიკონი იეო წმიდისა აღდგო-

[1]) M. Brosset, Etudes de chronologie technique, p. 33.

[2]) მართალია იშვიათად, მაგრამ ის მანამდინაც გვხვდება; მაგალითად, იოანე საბანისძე ამბობს, რომ აბო ტფილელი აწამეს მაცხოვრის აღდგომიდან და ენებიდან (resp. შობიდან) «წელიწადსა შჳდსა ოთხმეოცდა მეათესა.... დასაბამითგან გარდასრულთა წელთა ექუსი ათას ორას ოთხმეოცდა ათურამეტსა» (საქართველოს სამოთხე, გვ. 341). ქრისტესით 790 მაშინ უდრის დასაბამითგან 6298 წელს, როდესაც 5508 წელს ვითვლით (6298—5508=790).

ხუთა და ქორონიკონი იყო ᲯᲖ:. ესდა ათორმეტითა წლითა წინაჲთ ითუალჲვენ ქართველნი ქორონიკონისა თავისა დაწყებასა ვისისაგანმე მიცთუნებითა[1].

შასა ᲜᲖ და ქართული ქორონიკონი იყო ᲠᲜᲗ: ესდა ათორმეტითა წლითა წინაჲთ ითუალჲვენ ქართველნი ქორონიკონისა თავისა დაწყებასა ვისისაგანმე მიცთუნებითა[2].

ყველა ამ შემთხვევებში, როდესაც იოანე-ზოსიმე ჩვენს სისტემას ადარებს „იერუსალიმელთა“ სისტემას, გამოსასლველი წერტილად ანუ annus nullusად აღებული აქვს მას პანოდორეს ერა, რომელთან შედარებით ქართული სისტემა, როგორც თვით იოანეც შენიშნავს, 112 წლის განსხვავებას იძლევა[3].

პანოდორეს სისტემასთან შედარებით უფრო ხშირია ჩვენს ძველს ძეგლებში ალექსანდრიული 5500 წლიანი სისტემის ხმარება. საინტერესოა სიმბოლური ახსნა-განმარტება ამ სისტემისა, რომელიც, უეჭველია, ბერძნული წყაროებიდან გადმოსულა ჩვენს მწერლობაში. სიძე. მუზეუმის ხელნაწერს № 691 მოჰყავს თეოდორე აბუკურაჲს სიტყვები: „ბრძანოდა ქუეყნად სახიერი სიმდაბლით შემდგომად ᲩᲤ წლისა

[1]) სინას მთის ხელნაწერი № 38 (ივ. ჯავახიშვილის აღწერილობით), ფ. 139 [=ა. ცაგარლის აღწერილობით № 12]; შეად. მ. ჯანაშვილის ქართული მწერლობა I. 163.

[2]) გადმობეჭდილია პეტროგრადის საჯარო წიგნთსაცავში დაცული ხელნაწერიდან M. Brosset-ის მიერ, Etudes de chronologie technique, p. 2, 6.

[3]) პანოდორეს სისტემა აქვს სახეში იმავე იოანე-ზოსიმეს, რომელსაც გაუკეთებია ერთერთ ხელნაწერისათვის ყდა „დასაბამითგან ქართულად ᲩᲤᲜᲖ წელსა (6577—5604=973), ხოლო ქორონიკონსა ბერძულსა პა“ (780+81+112= =973), ანა და როდესაც დაუწერია მას მეორე ხელნაწერი „დასაბამითგან ქართულად ᲩᲤᲔ (6590—5604=986) და ბერძულად ქორონიკონსა ᲧᲓ“, ესე იგი (780+94+112) იმავე 986 წელს (Проф. А. Пагареля, Свѣдѣнія II, стр. 80, 98). იმავე სისტემას ჰგულისხმობს აგრეთვე ᲠᲔᲚᲘᲯᲣᲠᲘ ვარიანტი წმ. ნინოს ცხოვრებისა, რომელიც გადმოგვცემს, რომ ბერძნებმა ქრისტე აღიარეს „დასაბამითგანთა წელთა ᲮᲗᲘ ათას რვაას ორმეოცდა ოთხსა“ (შეკთომით— ერთსა), ესე იგი 5844—5492=352, „და ქრისტეს ამაღლებითგან სამას და ათვრამეტსა“ ანუ 318+34=352 წ. (Е. Такайшвили, Описаніе II. стр. 764).

(გვ. 168), რომელთაც ასე განმარტავს: იტყუს ლეონტი ბოსტრელ: კიდობანი სჯულისა იყო 5½ წყრთა და მოასწავა ყოთარმელ მისლვასა მას ძისა ღმრთისასა დაესნეს სჯული განსრულებასა ხუოთათს ხუოასიერ ფალასა-ო (გვ. 171), ესე იგი 5½ წყრთა მოასწავებდა 5½ ათას წელსაო. აი მაგალითები ამ სისტემის ხმარებისა ჩვენს ლიტერატურულ ძეგლებში: როდესაც ჩვენი უძველესი ქრონიკა „მოქცევაჲ ქართლისაჲ“ ამბობს, რომ წმ. ნინო მიიცვალა დასაბამითგან ᲩᲙᲓᲑ წელსა, რომელიც უდრის ქრისტეს აღმაღლებითგან (ოდეს. მობითგან) ᲩᲓᲑ წელსა-ო[1], მხედველობაში აქვს მას ალექსანდრიელთა 5500 წლიანი ერა: მართლაც, 5838—5500=338 ქრისტეს შემდეგ.

საყურადღებოა, რომ ᲩᲐᲮᲠᲣᲮᲐᲫᲔᲪ თავის თამარიანში 5500 წლიან ერას ჰგულისხმობს, როდესაც ამბობს:

მცთურმანც ო�
დაუწეო, ცთომად
წ�ხუოთას
ხუოასიერსა[2]

ესე იგი, ეშმაკი, მაცთური, კაცობრიობას ებრძოდა და აცთუნებდა პირველცთომილ ადამიდან ქრისტეს მოსლვამდე 5500 წელიწადსო[3].

უფრო ჰკვეთრი მაგალითი ალექსანდრიული სისტემის ხმარებისა ჩვენ გვაქვს ადიშის სახარების თარიღებში, და გასალები ამ თარიღების შეთანხმებისა სწორედ ამ სისტემაში უნდა ვეძიოთ. ეს სახარება, როგორც აღვნიშნეთ კიდევაც, გადაწერილია დასაბამითგანთა წელთა ᲮᲤᲐ, ქორონიკონსა ᲠᲘᲗ, მობითგან უფლისა ჩუენისა იესე ქრისტესითა ᲩᲐ. ამ სიტყვებში პირველი ორი, როგორცა ვთქვით, გვაძლევს 897 წელს (6501—5604=780+117=897). იმასვე გვაძლევს მესამეც, ქრისტესითა ᲩᲐ, ესე იგი 1001 წელი. მართლაც, 1) ჩვენ ვიცით, რომ ალექსანდრიულ ერასთან შედარებით ჩვენი ერა 104 წლის განსხვავებას გვაძლევს, მაშასადამე 1001—104=897; 2) 1001 წელს გასულა ქვეყ-

[1]) Е. Такайшвили, Описаніе II, стр. 71.

[2]) ნ. მარრის გამოცემა, I, 39 (Тексты и разысканія, в. IV, стр. ...)

[3]) „ხუოთათს ხუოთასიერსა“-ს მიგიერ ნ. მარრს შეცთომით წაუკითხავს „ხუოასსა ხუოასიერსა“, რაც სრული უაზრობაა.

ნის გაჩენიდან 5500+1001=6501 წელიწადი, როგორც ამას თვით გადამწერიც აღნიშნავს; ამას რომ გამოვაკლოთ ჩვენებური სისტემით 5604 წელიწადი, მივიღებთ იმავე 897 წელს.

ამნაირად, ადიშის სახარება რომ 897 წელსაა გადაწერილი, ეს ფაქტობრივად უნდა იქნეს მიღებული, ამიტომ ყველა მისი არქაიზმები თუ ნეოლოგიზმ-ვულგარიზმები, რომელნიც ნ. მარრს შეუნიშნავს, ზეცხრე საუკუნის გასულის დამახასიათებელ ფაქტებად უნდა მიკიჩნიოთ.